918 ᲐᲮ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

51 სხდომა.

პარასკევი, ოქტომბრის 25, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

მდივნობს პარლამენტის მდივნის ამხანაგი **იოსებ აბაკელია.**

პრეზიდიუმშია პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **იესე ბარათაშვილი.**

კრება იხსნება ნაშუადღევის 12 საათსა და 45 წუთზე.

თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის კრება გახსნილი გეგონავთ. მდივანი მოგახსენებთ დღიურ წესრიგს.

ი. აბაკელია. (კითხულობს):

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელის წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი.

სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში ბ. ჯამალიანმა შემდეგი წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

„გთხოვთ ბ. მინისტრო, ქვემოთ მოყვანილი ჩემი წერილი გადასცეთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს».

მ. ხ. ბ. თავმჯდომარეე საქართველოს პარლამენტისა! იმ აუტანელ და უბედურ დღეებში, როცა ქ. ბაქოში სისხლის ვაკანალია ხდებოდა და რომელმაც ათასობით იმსხვეპლა ბაქოში მცხოვრები სომხები—მოქალაქე ქართველებმა დიდი კაცთმოყვარეობა და ჰუმანობა გამოიჩინეს, სიკვდილს გადაარჩინეს სომეხთა ბევრი ოჯახი. იმ სომხების მცირედი რიცხვი, რომელსაც ეხლა ტფილისში ჩამოსვლის საშუალება მიეცათ, ერთხმად ადასტურებენ, რომ არა თუ ქართულმა ეროვნულმა საბჭომ ბაქოში, არამედ თვითეულმა პირებმაც კი ამ დახმარებაში ღირსეული სიმტკიცე და თავგანწირულება გამოიჩინეს სისხლით გამხეცებული ბოროტების წინაშე. ჩემს ხნეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია დაგიმოწმოთ ფაქტენ, ქართველ ხალხს მადლობის გრძნობა, რომლითაც აღვსილი ვართ ამ სომეხები, განურჩევლად იმისა, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ქართველი ხალხის მიმართ, მისი შვილების მიერ ასეთი თანაგრძნობის გამო; გთხოვთ ბ. თავმჯდომარეე, ამ ჩემი წერილის შინაარსი პარლამენტს გააცნოთ. ასეთი ფაქტები, ბ. თავმჯდომარეე, კიდევ ხაზს უსვამს იმ ორ საეკვო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო დამოკიდებულებას ორ მეზობელთა შორის, რომელსაც მე დაბადებული ვარ, ვერ შესცვლის ვერავითარი ხელოვნური შექმნებანი, რომელთაც ქმნიან მშვიდობიანი მეზობლობის და ერთა საერთო კულტურული აღმშენებლობის მტერნი.—ხელს აწერს ა. ჯამალიანი.

შემოსულ კანონ-პროექტის კომისიებში გადაცემა.

ი. აბაკელია. (კითხულობს) კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების სია.

1. **ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის კანონ-პროექტი** სამთო სამმართველოს დროებითი შტატისა და 1918 წლის ხარჯთაღრიცვის შეხახებ.

გადაეცეს სფინანსო კომისიას.

2. **ქართველ ისრაელთა ინტერპარტიულ საბჭოს და „აგუდათ ისრაელ"-ის საზოგადოების განცხადება** შესახებ ისრაელ ქართველთა წამომადგენლების არჩევის პარლამენტის წევრებად.

გადაეცეს სპანდატო კომისიას.

დღიური წესრიგი.

1. სამანდატო კომისიის მოხსენება **რუსთა და ებრაელთა** ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების არჩევის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **შალვა მიქელაძე.**

2. საბოლოო ტექსტი ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ შტატების **კანონისა.**

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **სამსონ ფირცხალავა.**

3. **კანონ-პროექტი.** შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **იოსებ გობეჩია.**

დებულება. დამფუძნებელ კრების არჩევნებისა და ხარჯთ აღრიცხვა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **ალექსანდრე ლომთათიძე.**

5. **კანონ-პროექტი** სამაჯო ღაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **დავით შარაშიძე.**

6. **კანონ-პროექტი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთ აღრიცხვისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **დავით ონიაშვილი.**

7. **კანონ-პროექტი** სახელმწიფო ქალაღლდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ აღრიცხვისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **დავით ონიაშვილი.**

8. **კანონ-პროექტი** აგრარულ რეფორმისათვის საჭირო სტატისტიკის მოწყობის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი

9. დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის **შეკითხვა** მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლიორისადმი 30 მილ. სალიკვიდაციო ფონდის შესახებ.

10. **პარლამენტის წევრის** ალექსანდრე ახმეტელის მთავრობისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკითხვა თბილისში უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულ რაზმის არსებობის შესახებ.

პარლამენტის წევრთა ნიკოლოზ თარხნოვის და ლეონ თუმანოვის იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრისადმი **შეკითხვა** — სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა ბუდეუ მდივანის და სხვათა სატუსაღოში უბრალდებულად დამწყდეგის შესახებ.

თავმჯდომარე. ამტკიცებთ თუ არა წესრიგს?

წესრიგისთვის.

ალ. ლომთათიძე. წესრიგის შესახებ შეიძლება?

თავმჯდომარე. ბრძანეთ.

ალ. ლომთათიძე. (ს. დ.) მე წინადადება შემოვიტანე ამ საკითხის შესახებ, რომ სამანდატო კომისიის მოხსენება **მესამე** პუნკტათ დაისვას. მით უმეტეს, რომ პარლამენტმა უკანასკნელ კრებაზე დაადგინა პირველ საკითხად მოისმინოს კანონ-პროექტი სანაპირო რკინის გზაზე, მეორე საკითხად დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება. ამიტომ წინადადება შემომაქვს ეს მოხსენება სამანდატო კომისიისა მესამედ დაისვას.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამის შესახებ? თუ მსურველი არაის უყრი კენჭს. ვინ არის მომხრე რომ პირველი საკითხი გადაიტანოს მესამე საკითხად? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია. პირველი საკითხი დაისვება მესამედ. შეკითხვა არის შემოტანილი რომელიც იუსტიციის სამინისტროს ეხება. (მდივანი კითხულობს) სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს თარხნოვს.

თავმჯდომარე. თხოულობს, რომ სასწრაფოდ იქნეს გარჩეული ეს შეკითხვა. *)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ. ნინიძეს. ამ შემთხვევაში ერთ მომხრეს ეძლევა სიტყვა, მეორეს მოწინააღმდეგეს. თქვენ წინააღმდეგი ბრძანდებით?

კირილე ნინიძე. (ს. დ.) დიახ, ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია, რომ ეს შეკითხვა იქნეს სასწრაფოდ ცნობილი.

საქმე ისაშია, რომ ის საბუთი რომელიც წამოაყენა ბ. თარხნოვმა, ვერ ჩაითვლება სეროზულ საბუთად. იმნ წამოაყენა ორი საბუთი: ერთი ის, რომ ხდება ადმინისტრაციული დატუსაღებაო, ეს შეეხება ჩვენ პარლამენტს და სახელმწიფოს წყობილებას. თუ რამე უკანონობა არის როგორც სისტემისა, ეს იქნება ჩვეულებრივი წესით განხილული. აქ არაფერი სჩქარო არა არის ო.

რაც შეეხება იმას, რომ დატუსაღებული შიმშილის გამო განაცდიან ერთგვარ საფთხეს, აქ უნდა მოვახსენოთ ბ. თარხნოვს, ეს რომ მთავრობის მიზეზით იყოს, თავის თავად ცხადია, რომ მთავრობა არ აძლევდეს საქმელს, ან აყენებდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ ჯანმრთელობას მოელოდეს რამე საფრთხე, ეს სულ სხვა არის. მაგრამ როდესაც დატუსაღებულები მიმართავენ არა ლეგალურ საშუალებას, იმის მაგიერ რომ კანონიერი გზით ეძიონ თავისუფლების აღდგენა, ისინი მიმართავენ შიმშილობას და თავის ჯანმრთელობას აყენებენ საფრთხეში,

*) სიტყვა წარმოთქმული რუსულად. სტენოგრაფით არ ჩაწერილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არ ჩაითვლება სერიოზულ საბუთად. ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ რომ ეს შეკითხვა იყოს სასწრაფოდ მიღებული ვინაიდან შეიძლება იგი განხილული იყოს ჩვეულებრივი წესით.

თავმჯდომარე. კამათი მოსაბილია. კენჭს უყრი სასწრაფოთ იქნეს მიღებული ესა თუ არა. (კენჭის ყრა) მაშასადამე მიღებულია რომ ჩვეულებრივი წესით შეიძლება ამ კითხვის განხილვა.

საბოლოო ტექსტი კანონისა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატებისა.

მომხსენებელი გახლავთ პარლამენტის წევრი ფირცხალავა.

ხამსონ ფირცხალავა. პირველი მუხლი. აქ შეცვლილი არის მხოლოდ ერთი სიტყვა. ნაცვლად შტატებისა ნათქვამი არის შტატი. მრავლობითი რიცხვი შეცვლილია მხოლოობით რიცხვით. ჩვენი რედაქცია ასეთი ხასიათისა არის. (კითხულობს).

კანონი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატისა.

1. დამტკიცებული და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან შემოღებულ იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატი.

მეორე მუხლი უცვლელად არის მიღებული.

გადაიდოს სახელმწიფოს თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატისათვის შვიდას ოცდა თოთხმეტი ათას ოთხასი (734.400 მან. შემდეგის განაწილებით:) 1) მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის—სამას ოცდაშვიდი ათას ექვსასი (327.600) მან. 2) იურიდიული რჩევისათვის შვიდი ათასი (7000) მან. 3) სახელმწიფოს ბანკის ტფილისის კონტორის კომისარისათვის ხუთი ათას ცხრაას ოცდა ათი (5950) მან. 4) სახელმწიფოს ბანკის სოხუმის განყოფილების კომისარისათვის სამი ათას სორმოცდა ათი (3150) მან. 5) საკანცელარიო ხარჯისათვის თოთხმეტი ათასი (14000) მან. 6) სასტამბო ათი ათას ხუთასი (10.500) მან. 7) ბინისათვის თერთმეტი ათას ორასი (11.200) მან. 8) გათბობა განათებისა და სხვა სამეურნეო ხარჯისათვის ოცდა-ერთი ათასი (21.000) მან. 9) ინვენტარის შესაძენად სამი ათას ხუთასი (3500) მან. 10) საგზაო ხარჯისათვის ათი ათას ხუთასი (10.500) მან. 11) მინისტრის განკარგულებაში მოსულოდნელ ხარჯისათვის თოთხმეტი ათასი (14.000) მან.

თავმჯდომარე. სვტყვა ეკუთნის პარლამენტის წევრს ოსებ გობეჩიას.

ოსებ გობეჩია. (ს. რ.) პატონებო, პარლამენტის წევრნო!

შავიზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების შესახებ კითხვა პირველად აღძრული და გადაწყვეტილი იყო საბოლოოდ გზათა კომისიაში, შემდეგ განხილულ იქნა საბიუჯეტო, საფინანსო, იურიდიულ და გზათა კომისიების შეერთებულ ხსოვნაზე. მოკლე ისტორია შავი ზღვის სანაპირო რკინის გზისა არის შემდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გზა უნდა გაკეთებულიყო ტუაპსემდის დაწყობილი ახალ-სენაკამდინ. გზის სიგრძესა უდრის 329 ვერს. ეს გზა იყო გაკეთული კონცესიით ძველი რეჟიმის დროს, რუსეთის მთავრობის მიერ, ეს კონცესია აიღო აქციონერთა საზოგადოებამ, დაარსდა კერძო კამპანია, და აქციონერების საშვალებით იყო ამორჩეული გამგეობა. გზის გაკეთება უნდა დაწყებულიყო 1914 წელს და უნდა დამთავრებულიყო 1917 წ. როდესაც დაიწყო მსოფლიო ომი, მაშინ ამ გზას უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა და რუსეთის მთავრობამ დიდი სუბსიდიაც უძღვნა კერძო კამპანიასა, რომ სტრატეგიული მიზნით, ეს გზა საჩქაროდ ყოფილიყო დამთავრებული. ბევრი რამ იყო გაკეთებული, რომ ეს გზა ყოფილიყო დამთავრებული. მაგრამ ამ დროს, გამოცსადდა რუსეთის დიდი რევოლიუცია და ამ საქმის დამთავრება შეფერხდა დაარსდა უმთავრესი რკინის გზის კომიტეტი, რომელმაც გააძევა ამ სააკციონერო კერძო კამპანიის გამგეობა და ეს გზა ჩაიგდო ხელში. მაგრამ რაც შეეხება თითონ გზის დამთავრებას მის ამენებას, ამის შესახებ არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა. მდგომარეობა შეიქმნა ისეთი, რომ ეს მასალები საწყობები და ქონება, რომელიც აუარებელი იყო, — იფლანგებოდა, და მუშები გზის მუშაობას ვერ ახერხებდნენ. ამ დროს, რადგანაც პირობები ასეთი იყო: ანარქია, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ არც საკმარისი ფული ჰქონდათ, რომ გზა გაეკეთებინათ, ეს მუშაობა შეჩერებული იყო. ამ დროს უმუშევრად დარჩენილი მუშები რომელთა ჯამაგირს არ აძლევდნენ იმ შეხედულებით, რომ ასეთი მუშაობა არ ეწარმოებინათ ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე, ასეთი უმუშევრად დარჩენილი მუშები იყვნენ ბლომად. მეორეს მხრივ საქონელს კარგავდნენ, ფლანგავდნენ, ბევრი რამ იკარგებოდა. — ამიტომ, მთავრობის მიერ, გზათა მინისტრის მიერ, იყო აღძრული საკითხი, რომ მოეხდინათ ამ მანძილის ლიკვიდაცია, რომელიც შედის ჩვენ საქართველოს ტერიტორიაში და ჩაებაროს ეს გზა. მეორეს მხრივ იყო აღძრული საკითხი: როდის შეუძლიან მთავრობას დაამთავროს ეს გზა? მაგრამ მაშინ, ეს იყო სამი თვის წინ, საუბედუროდ, ეს საკითხი საბოლოოდ ვერ გადაწყდა, მხოლოდ გადაწყდა ერთი ნაწილი ამ საკითხისა, ლიკვიდაცია ზოზელეებისა და მუშებისა, რომლებიც იყვნენ დარჩენილნი აქ. ბევრი მათგანი იყო მოსული სხვა და სხვა რუსეთის კუთხეებიდან. მუშების საღიკვიდაციოდ ჩვენმა მთავრობამ მისცა გზათა მინისტრს თვის განკარგულებაში ერთი მილიონი მანეთი. რაც შეეხება იმას, რომ ეს გზა დამთავრებულიყო, ეს საკითხი იყო გადადებული.

ამ რიგად, ეს ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ უმთავრესი საკითხი, თუ ბატონ-პატრონი ვინ იქნება ამ გზისა, ვინ მოუვლის აუარებელ საქონელს, რომელიც დარჩა ეს საკითხი არ არის დღემდის გადაწყვეტილი.

უნდა მოგახსენოთ, როგორ მდგომარეობაში არის ეს გზა ამ შავიზღვის სანაპირო რკინისგზის დაყოფა შეიძლება სამ უმთავრეს უბნად. ერთს უნდა ეწოდოთ ტუაპსე-სოჭის უბანი, მეორე სოჭის-სოხუმის უბანი, მესამე იქნება სუხუმიდან ახალ-სენაკამდინ.

რაც შეეხება პირველ ნაწილს ამ გზისას-ტუაპსე სოჭის ნაწილს, ეს, თითქმის არის დამთავრებული და უკვე არის მიმოსვლა ამ გზაზე.

მეორე ნაწილი-სოჭი სუხუმის ნაწილზე, თითქმის, მუშაობაც არ არის დაწყობილი. ისეთი გეოლოგიური პირობებია მისი დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრება ისეთ პირობებში არის ჩაყენებული, რომ ამ რკინის გზაზე მოსვლის დაწყებას დასჭირდება მეტი დრო, თითონ ბუნებრივი პირობები ამას ხელს არ უშლიან.

მესამე ნაწილი, სოჭის ახალსენაკის ნაწილი, რომელიც შედგენს 125 ვერსს, ეს ნაწილი კი უფრო კარგ პირობებში იმყოფება, იმიტომ რომ დამბრკოლებელი ბუნებრივი პირობები არის ძალიან მცირე და ამ ნაწილზე ბევრი მუშაობა სწარმოებდა და თითქმის სამი მეოთხედი ამ გზისა უკვე გაკეთებული არის. რაც შეეხება მიწის მუშაობას, ხელოვნურ სხვა და სხვა მუშაობას—ამ ნაწილში, ამის გარდა, სხვა და სხვა ადგილებზე თითქმის ხიდების საფუძველიც არის გაკეთებული. ეხლა უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ახალ-სენაკის ნაწილზე 18 ვერსზე უკვე ლიანდაგი არის დაგებული და 20 ვერსის მანძილზე ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდის საჭირო არის მხოლოდ რელსების დაწყობა. ამ რიგად, როგორც მოგახსენეთ, უკვე სამი მეოთხედი მუშაობისა არის დამთავრებული და დარჩა კიდევ ერთი მეოთხედი იმისთვის, რომ ახლო მომავალში ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდის მაინც ჩვენ შეძლოთ გავმართოთ რკინის გზა და მატარებლების მიმოსვლა.

ოროიდე სიტყვით მინდა შევეხო იმას, თუ რამდენად ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩვენი მთავრობა უნდა იყოს დაინტერესებული იმაში, რომ ამ გზის ბატონ-პატრონობა და გამგეობა ჩაიგდოს ხელში. საქმე იმაშია რომ, როგორც მოგახსენეთ, ბატონ-პატრონი არ სჩანს. ის გამგეობა კერძო კომპანიისა, რომელთანაც ჩვენ შეგვეძლო დღეს რაიმე მოლაპარაკება გვქონოდა ამ რკინისგზის შესახებ არ სჩანს. იმ აქციონერების შეკრეფა, რომელიც ბატონ-პატრონი იყვნენ ამ რკინისგზისა შეუძლებელი არის. ეს ერთის მხრივ—მეორეს მხრივ, ჩვენ დიდი მოვალეობა გვაწევს, რომ ჩვენი ტერიტორიიზე გაკეთებული რაც არის იმას სპირა მოვლა, პატრონობა, რომ არ ფაფალანგოს, იმიტომ რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენ პასუხის მგებლები ვიქნებით, რადგანაც ეს დარჩა ჩვენ ტერიტორიაზე. ამის გარდა, დღეს ჩვენი მდგომარეობა ისე არის რომ ჩვენი მთავრობა და ჩვენ უნდა ვიყოთ იმაში დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება ჩქარა გვქონდეს ეს რკინისგზა. უნდა მოგახსენოთ რომ იქ არც რკინისგზა და არც შოსე არა გვაქვს უნდა ვისარგებლოთ და კავკაკეთოთ ჩქარა ის, რაც შეგვიძლიან. ჩვენი ინტერესები მოითხოვს ამას შეუდგეთ დღესვე. საქმე იმაშია რომ ამ გზით, თუ ჩვენ გავმართეთ მიმოსვლა სუხუმამდინ, მაშინ ჩვენ გვექნება საშუალება, რომ აფხაზეთს პოლიტიკურად დაუახლოვდეთ და შეუკავშირდეთ, და ჩვენ გვექნება კულტურული კავშირი მათთან, ამას ექნება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ამის გარდა ამას აქეს კიდევ ეკონომიური მხარე თქვენ კარგათ იცით, რომ ოჩჩამჩირის ახლო არის დიდი მაღაროები-ქვანახშირისა. ეს არი დიდი სიმდიდრე, დღეს ტყვიბულის მაღაროებში მუშაობა არ სწარმოებს, მეორეს მხრივ, ამ მაღაროების ქვა ნახშირი უფრო გამოსადეგი არის და უფრო მეტი ღირებისა, არის ვიდრე ტყვიბულისა, ამიტომ ამ გზას დიდი მნიშვნელობა ექნება. როდესაც ეს გზა იქნება გაკეთებული, მაშინ ჩვენ გვექნება საშვალება ეს დიდებული სიმდიდრე გამოვიტანოთ. უმთავრესი ნაწილი ამ რკინის გზისა გაიელის შავი ზღვის პირზე და იქ ისეთი ნავთ საღგურები არის, რომელიც უფრო გამოსადეგი არის ვიდრე ფოთისა, საღაც, სხვა და სხვა ბუნებრივი მიზეზების გამო, ეს ნავთსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგული კარგად ვერ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ამ შავიზღვის ნაპირის ადგილებზე კი მოიძებნება ნავთსადგურები.

მე არ შეუდგები სხვა და სხვა ბევრ მნიშვნელობის ჩამოთვლას. ყველამ კარგათ იცის რა მნიშვნელობა აქვს რკინის გზას, ამიტომ ამაზე არ შეეგარერებ თქვენ ყურადღებას.

მინდა მოგახსენო ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, რომ აქ დასამთავრებელი დაგვრჩა მხოლოდ ერთი მეოთხედი. ხელოვნური მუშაობა თითქმის დამთავრებული არის, მხოლოდ უნდა შეუდგეთ ეხლა ბუშაობის დამთავრებას. ამის გარდა ამიერ-კავკასიის რკინისგზები, როდესაც ჩვენ მოვახდინეთ ლიკვიდაცია და შტატები შევამცირეთ ბევრი უმუშაო რკინისგზის მუშები და მოხელეები დაგვრჩა. ჩვენ გვაქვს საშუალება, თუ შეუდგებით ამ რკინისგზის გატარებას, რომლის დამთავრება არ მოითხოვს ბევრს დროს, ან ამ ნაშენს უმოვნოთ სამუშაო და ჩვენი რესპუბლიკისთვის გამოვიყენოთ.

მხოლოდ აქ არის ერთი საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევეჩერო თქვენი ყურადღება. საქმე ისაა არის, რომ ეს გზა იყო გაცემული ძველი რეჟიმის დროს რუსეთის მთავრობის მიერ. ტრანზიტულად, პროექტი ამ გზისა უკვე იყო მაზინ შემოწავებული და დამტკიცებული და ხაზი, ტრასი ამ გზისა, ტუაპსიდან ან ახალ სენაკამდი გადიოდა, იმგვარად რომ ეს გზა არ გადიოდა შიგ ქალაქ ზუგდიდში და იყო მოცილებული ოთხ ვერსზე. როგორ მოხდა ეს და რისთვის მოხდა, მე ამაზე არაფერს ვიტყვი, ამის გარჩევას არ შეუდგები. თქვენ კარგათ იცით, რომ სახოგადოდ, როცა რომელიმე კომპანია ან კონცესიონერები ირკვევდნენ გზას, უმთავრესად ძველი რეჟიმის დროს, ისინი არ ხელმძღვანელობდნენ მეცნიერულ გამოკვლევებ. თუ ვინმე ადგილობრივ, იყო პირადად დაინტერესებული ამაში, რომ ეს ეგზისიყო ამათ ადგილზე და მოცილებით ქალაქზე. გზა იქ გაჭიოდათ. ეს ტიპიური მოვლენა ბანლაგი ამ ქვეყნისა და ბევრ ასეთ მაგალითებს ჰქონდა ადგილი ძველი რეჟიმის დროს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ტრასი, რომელიც არის შემოწავებული და გატარებული, როგორც მოგახსენეთ ამ მეოთხედად მუშაობისა უკვე არის დამთავრებული, ჩვენ ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მხრივ, რომ გზამ, თუ შესაძლებელი იქნება უნდა გაიაროს თვით ზუგდიდზე. ეს აუცილებლად საჭირო იქნება ჩვენთვის და ჩვენ ამას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. იმიტომ, რომ თქვენ კარგათ იცით ისიც, თუ რა მომავალი მოელის ქალაქ ზუგდიდს, როდესაც ბაქუზე გაიელის რკინის გზა და როგორ აყვავდებიან ეს ადგილები, რომელიც არის ზუგდიდის ირგვლივ. მე მოგახსენებთ, რომ სამრეველოს ეცხოვრებლები არიან დაინტერესებულნი, რომ ამათ ბუნებრივ მოთხოვნილებას ჩვენ ჯერიანი ყურადღება მივაქციოთ. როგორც უკვე მოგახსენეთ სამი მეოთხედი ამ გზისა უკვე გაკეთებული არის, ტრასი ამ გზისა არ გადის თითონ ზუგდიდზე, ამიტომ საჭირო არის, რომ ჩვენმა პარლამენტმა და მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამას,—დღეველოს გზათა მინისტრს რომ სპეციალური კომისია გაგზავნილი იქნეს, რომელიც მოახდენს სპეციალურ გამოკვლევას ამის შესახებ, რომ ამ გზამ გაიაროს თვით ქალაქ ზუგდიდზე. ამის შესახებ ჩვენი გზის კომისიას არავითარი მასალა არ ჰქონდა და არ შეეძლო ეთქვა, რომ ეს გზა ქ. ზუგდიდზე ვერ ჩაიელის და თქვენ ალ. სამუშაოს ვერ წარმოგიდგენთ. საჭიროა მოითხოვოთ რომ ასეთი ტენიკური კომისია იყოს დანიშნული, თუ შეიძლება ზუგდიდის მეცხოვრებლებიც მიეცეს მონაწილეობა ამ მუშაობაში, და მოკლე მომავალში ჩვენ ვგვქონდა ნამდვილი პეშმარიტ მეც

საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ." დამატება № 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერულ გამოკვლევაზე აგებული საბუთი, რომ ამ გზას შეუძლიან გაიაროს ქალაქ ზუგდიდზე და მაშინ დაგვეჩინდება იმ ტრასის შეცვლა, რომელიც იყო შემუშავებული და დამტკიცებული რუსეთის მთავრობის მიერ. ეს ეხლა ჩვენ ხელთ არის და ამის შეცვლა ჩვენ შეგვიძლიან. თუ რაიმე მეტ ხარჯს მოითხოვს, მაინც და მაინც ეს ბევრი არ იქნება და ამის დაკმაყოფილებას შევძლებთ.

აი ის მოკლე განმარტება მე მინდოდა მომეხსენებინა სანამ გაგიცნობთ იმ კანონ-პროექტს, რომელიც მიღებული არის სამ შეერთებულ კომისიის მიერ იურიდიულ, სეფინანსო და საბიუჯეტო კომისიების მიერ (შიმართავს თავმჯდომარეს) ნება მიბოძეთ ეს კანონ-პროექტი წავიკითხო (კითხულობს).

კანონ-პროექტი. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა.

1. დაეევალოს გზათა მინისტრს დაუყოვნებლივ მიიღოს თავის გამგებლობასა და განკარგულებაში შავიზღვის სანაპირო რკინის გზა, რომელიც ჯერ დამთავრებული არ არის, საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში.

2. რკინისგზის ამ ნაწილის მისაღებად, შესანახად და დასაცავად 1918 წლის 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე მიეცეს გზათა მინისტრს ავინად ხაზინიდან სამასი ათასი (300,000) მანეთი.

3. მიეწდოს გზათა მინისტრს დაუყონებლივ შეუდგეს ამ გზის ნაწილის დამთავრებას ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე და ამისათვის გაეხსნას მას კრედიტი სამი მილიონი სამას ათასი (3,300,000) მანეთისა, თანახმად ამ კანონთან დართული ხარჯთაღრიცხვისა. თვის განმავლობაში მოახდინოს გამოკვლევა ტრასის შეცვლისა, რათა ხსენებულმა რკინის გზამ გაიაროს ქ. ზუგდიდში.

აი ეს გახლავთ ოთხი მუხლი კანონ-პროექტისა.

სამსონ დადიანი. (ს.-ფ. პარლამენტის წევრნო, თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა მიზნებიო, რა განზრახვებიდან და რა გეგმებით შენდებოდა ძველ რუსეთში, თითქმის ყველა, რკინის გზა. მთავრობას ჰქონდა უმთავრესი მიზანი, ასე ვსთქვათ, ხანდის ხან სტრატეგიული ხანდისხან უმთავრესად თავისი აგრესიული პოლიტიკის საწარმოებლად. თქვენ წარმოიდგინეთ რომ ჩვენს ამ სანაპირო გზას, მით უმეტეს, არ ასცდა ამ იდეების ზედგავლენა, რადგანაც, ეს გზა დაიწყო, თითქმის ომის დროს.

აქ საყურადღებო არის ვინ მუშაობდა იმ კომისიაში. მიუხედავათ იმისა, რომ ეს რკინის გზა იყო კერძო ინიციატორების ხელში, მაინც გამგე პრინციპი ამ გზისა აგებული იყო, ასე, რომ ვსთქვათ, სტრატეგიულ მოსაზრებაზე. ამან უკარნახა და ამან გამოიწვია, რომ ერთი ვარიანტი, რომელიც გაცილებით უკეთესი იქნებოდა ეკონომიურ თვალსაზრისით, რომ გაეყვანათ ეს გზა ერთი კალთის ძირში ქვარში, და, აქედან მოყოლებული ქუთაისში გაეყვანათ რკინის გზა, ეს უკეთესი იქნებოდა ეკონომიურ თვალსაზრისით, რადგანაც გაივლიდა სამგრეულოს შუა გულში, და საშუალებას მისცემდა იმ მდიდარი ტყეების და იმ სიმდიდრეების ექსპლატაციისას. ეს ვარიანტი მივიწუნეთო იყო და გაიყვანეს ეს იმ გზით და იმ გეზით, რომელიც დღეს არის. აქ დაიბადა ერთი მოსაზრება, რომელსაც ჰქონდა დიდი გავლენა და რომელსაც ჰქონდა ყოველ შემთხვევაში დიდი ადგილი ძველი რეჟიმის დროს. ეს არის ინტერესი მდიდრებისა, ინტერესი იმათი თუ ვის მიწა-წყალზე უნდა გაიაროს ლიანდაგმა. აქ იმოქმედა უმთავრესად თავად მინგრელსკის ინტერესმა, და აგრეთვე რამდენიმე მემამულეების ინტერესმა და მათი მოუთავების ინტერესმა. იმათი ზედგავლენით მოხდა ის უსამართლობა, რომლის გასწორებას ჩვენ ვაპირობთ. ეს უსამართლობა ის არის, რომ ამ რკინის გზამ დასტოვა ოთხი ვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის მანძილზე ქალაქი ზუგდიდი. აქ რომ მარტო ზუგდიდზე იყოს ლაპარაკი, მარტო ზუგდიდის ინტერესები იყოს შელახული, მაშინ რასაკვირველია ამ შემთხვევაში, ლაპარაკი პროექტის გამოკვლევაზე არ დაგვჭირდებოდა. რა უყოთ ერთი ქალაქი, რომ ჩაკვდეს, მაგრამ, ძველი სენაკიც დასტოვეს ექვსშვიდ ვერსის მანძილზე, და ის თავის ბუნებრივი სიკვდილით კვდება. აგრეთვე ამას აქვს მნიშვნელობა ქუთაისისთვის. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი არ ჩამორჩენილიყო და რიონზე სადგური გაკეთებულიყო. აგრეთვე ბევრი აუარებელი ქალაქები არის, რომლის დაზარალებას არ შეიძლება არ მიექცეოს ყურადღება, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს დიდ მნიშვნელოვან საკითხად საქმეაქ დაინტერესებული არის არა თუ მთელი მაზრა, მთელი ზუგდიდის მაზრა, აგრეთვე სვანეთი, და ის ადგილები, რომელიც მიკერებულნი არიან და ახლო არიან ეკონომიურად ამ მაზრებთან. ყველა ეს უდიდესი ინტერესი მთელი მაზრისა და აუარებელი მცხოვრებლებისა, აგრეთვე იმ კულტურისა, რომელსაც ეწევიან სამეურნეო სფეროში, ყველა იმისა რაც აქ დამუშავებული არის: კაკალი, ხილი, სიმინდი და სხვა, ყველა ის რაც კეთდება ამ ქვეყანაში—იმ თვალსაზრისით ამის ინტერესით საჭირო ან ის, და საჭირო იყო, რომ ვისმეს მიექცია ყურადღება, როდესაც ეს გეზი შემუშავდებოდა, რომ ზუგდიდი არ ყოფილიყო იმ ლინდგვის გარეშე მიუხედავად იმისა, რომ აუარებელი ტელეგრამები, აუარებელი თხოვნა-მუდარა იყო ძველ მთავრობის წინაშე და აგრეთვე ახალ რევოლიუციონურ მთავრობის წინაშე. კომისარიატი რომ არსებობდა, ამ კომისარიატს წარუდგა ყველა ჩვენი პარტიის წარმომადგენლებისგან შემდგარი დელეგაცია. სვანეთის შორის, ამ ყრილობაში, რომელიც გაიმართა ამ დელეგატთა თანადასწრებით, დაგეს წარი შეც, იქაური მცხოვრებლების თხოვნით. იქ იყო პარლამენტის წევრი კედია. არ შემძლიან არ მოვიგონო ის სანიენი შთაბეჭდილება, რომელიც მე გამოვიტანე ამ სხდომიდან. როდესაც გავიცანი, როგორ უცქეროდნენ იქ ეკონომიურ ხასიათს ამ რკინის გზისას, პირდაპირ დავიწვეთ სირცხვილით. ამ სხდომაზე ერთმა დიდმა რევოლიუციონერია ჯარის კაცმა, გვარი დამავიწყდა, ჯარის კაცმა, რომელიც მაშინ განაგებდა ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს, მე მეორნი თავმჯდომარე ვერეშჩაკმა სთქვა: დასხედით იქ და აკანტუნეთ თქვენი თხილებიო. თხილების გულისათვის კი არ გვინდა რკინის ზეკა, ჩვენ ამ გზის გაყანა გვინდა სტრატეგიულ მიზნებისათვისო, როდესაც დელეგატებმა, გუბერნიის ყველა წარმომადგენელმა უთხრეს, რომ, თუ არ დაუახლოვდებით ზუგდიდს, ჩვენ გვეშინიან, ვაი თუ თქვენ ამ გზის გასაყვანად ადგილობრივი მუშა ხალი არც გამოვიდესო, მაშინ ისიც კი ინება ამ რევოლიუციონერმა, დიდმა რევოლიუციონერმა რომ სთქვა, ჩვენ იქ გავგზავნით „კარატელნი ოტრიადებს“ და მაშინ ვნახოთ როგორ არ გამოგვკვეშეინან და არ იმუშავებენო. ის, რასაც მე გეუბნებით იყო ძველათ და ახალ კომისარიატის დროს. დღეს უკვე ყველა მცხოვრებლებს მაზრისას და სვანეთისას იმედი აქვთ, რომ სწორედ ეს ნაკლია ამ გზისა, გამოსწორებული იქნება.

აქ ჩვენ გვეუბნებიან, რომ პროექტი კომისიაშა არის დასახული. აი სწორედ ამ კომისიის შესახებ უნდა მოგახსენოთ. სამწუხაროდ კომისიას, რკინის გზის კომისიას არ ჰქონია საკმავო მასალები, რომ მნიშვნელობა ამ რკინის გზისა გაეთვალისწინებია. უდავო არის, რომ ამ გზას აქვს დიდი მნიშვნელობა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გზამ ზუგდიდზე გაიაროს. ამას არავინ უარს არ ყოფს, მაგრამ კომისიას უნდა მასალები, რომ ივარაუდოს თუ რა ხარჯი დასჭირდება, რომ ის ხაზი გადიოდეს ზუგდიდზე, და ტეხნიკურად არის ეს შესაძლებელი თუ არა. მე ვამტკიცებ, ასეთი მასალები აუარებელი მოიპოვება. არ ვიცი, ჰქონდა კომისიას თითონ გამოკვლეული თუ არა, ეს გამოკვლევა ტეხნიკური, გამოკვლევა ინტი-

ნერებისა. მაგრამ ადგილობრივი ხალხი და დელეგაციები გააშუქებენ [illegible] თავად ამ საკითხს. მე მოგახსენებთ, ამ უკანასკნელ მუხლით შესაძლებელია, ესე ვსთქვათ, რომ დღესვე დავადასტუროთ აუცილებლად, რომ გზამ ზუგდიდზე გაიაროს. ხარჯი უკეე ნავარაუდევია, 80 ათას მანეთზე მეტი არ დაჯდება რესლები. რესლებიც მოიძებნება, ერთი სიტყვით ტეხნიკური დაბრკოლება იმას არ აქვს. ეკონომიური დაბრკოლება იმაშია, რომ 80 ათს ვერ ვიშოვიათო. ეს ყოველად შეუძლებელია, რომ ამბავი ჩვენ შეეჩერდეთ. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ პარლამენტს, რომ დაადასტუროს, და კატეგორიულად სთქვას, რომ ეს გზა ზუგდიდზე გაიელის. შესაძლებელია ტეხნიკურად ეს გზა მოიწყოს. აქ არის ნათქვამი, — კომისია დაინტერესებულია, რომ ეს საკითხი გამოკვეული იყოსო. რამდენადაც მე ვიცი კომისიაში ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ არ შეიძლება ამ გზის ზუგდიდზე გაყვანა. მე კიდევ ვამბობ, რომ აუცილებლად ეს არის საჭიროა და შესაძლებელი, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღოს პარლამენტმა, და ამის შესრულება მიანდოს გზათა სამინისტროს.

რაც შეეხება სამინისტროს, შესაძლებელია ის დაეთანხმოს კომისიას, რადგანაც იყო ნათქვამი, რომ შტო გავიყვანოთ ფოღეჯიანის მინდორზე სადაც უნდა აშენდეს სადგური, ხოლო იქიდან შტო გავიყვანოთ ზუგდიდზეო, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ადგილობრივ მცხოვრებლების აზრით ყოველად შეუძლებელია ამ შტოს გაყვანა, ეს არც საქმეს უშველის. უექველად ეს ხაზი უნდა გავიდეს ცოტაოდენ რგოლის მგზავსად, რომელიც ზედ ზუგდიდზე მივა.

ამიტომ ჩვენი ფრაქცია თხოულობს, რომ აუცილებლად ზუგდიდზე გაიყვანოთ ეს გზა.

გზათა მინისტრი ივანე ლაჩოქიფანაძე. მე არ შეეჩერდები, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ რკინის გზას ჩვენ სახელმწიფოსთვის. ეს დაწვრილებით გამოაჩკვია მომხსენებელმა. ჩვენი სამინისტრო ფიქრობს, რა მოსაზრებაც არ უნდა მოვიყვანოთო, არ შეიძლება, რომელიმე კულტურული ცენტრის დატოვება გარეშე რკინის გზისა. იმ აზრვის საილიუსტრაციოდ, რომლითაც ხელმძღვანელობდა, როგორც მთავრობა, ისე ადგილობრივი მეთაურები და ჩვენი მცხოვრებლები, შეიძლება მოვიყვანოთ კახეთის გზა, თუ როგორ გაიყვანეს ეს გზა. მაგრამ ჩვენი სამინისტრო ამ გზას არ ადგა, არც იდგა და არც დადგება. აქ ერთგვარი სიფრთხილე არის საჭირო. და ამ მოსაზრებით ასეთი ფორმულა, შეერთებული კომისია — ჩემის აზრით მისაღებია. საქმე არც ისეა, როგორც დადგენი ამბობს. მართალია, გამოკვლევა იყო, ეს გამოკვლევა მელიქ-ასლანოვის დროს მოხდა. ჯერ ჯერობით ჩვენ ვერ ვნახეთ, სად წავიდა ეს გამოკვლევა, მაგრამ ჩვენ ვიცით ფაქტიურად, რომ ამ საკითხზე ძველი რეჟიმის მთავრობას ჰქონდა გარკვეული ხაზი, არც უნდოდათ ქუთაისზე გაყვანა გზა, არც ზუგდიდზე, ალბად სხვა და სხვა მოსაზრებითი ხელძღვანელობდა. მაგრამ შემდეგში იყო დანიშნული განსაკუთრებული კომისია ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ. არ ვიცი, რა ლაპარაკი ჰქონდათ მაშინ, ვერაფშჩაკი იყო, თუ ვიღაც სხვა დეპუტატი. თუ ასეთი ლაპარაკი იყო, რასაკვირველია, ეს ყოველად შეუწყნარებელია, მაგრამ ფაქტიური მხარე ცოტა სხვანაირი არის. ამ კომისიაში ინეენერები შედიან, სხვათა შორის ბეგრი ქართველი ინეენერები და ამ კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ ყოველად შეუძლებელია დღევანდელ პირობებში ამ გზამ გაიაროს ზუგდიდზე, საჭირო არის ტრასის შეცვლა, ადგილობრივ რგოლის გაკეთება, ან ხეთიდან, ან სენაკიდან, ესე იგი მისაღებელია მთელი მუშაობა, რომლის სამი მეოთხედი, თითქმის 80%, გათავებულია, გარდა იმისა, ქალაქ ზუგდიდმა თითონ მოამდინინ გამოკვლევა. ამ საქმის გამოკვლევა მიანდო ვიღაც ადგილობრივ ტეხნიკს. იმან დაამტკიცა, რომ არც ძვირი იქნება და შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც, რომ გზამ გაიაროს ზუგდიდზეო. მაგრამ მისი გამოკვლევის ქაღალდი დაიკარგა, ტეხნიკი მოკვდა სამშუშაროთი. ჩვენი ინჟენერები კი ყველანი ამბობენ, რომ დასჭირდება ძლიერ დიდი ხარჯი, რომ ეს გზა გავიდეს ზუგდიდზე.

გზათა სამინისტრო ფიქრობს, რომ თუ კი ეს შესაძლებელი იქნება, თუ კი ეს თუნდაც გამოიწვევს დამატებითი ნახევარ მილიონ ხარჯს, და ტეხნიკურად შესაძლებელი იქნება, რომ გზამ გაიაროს ზუგდიდზე, ჩვენ. ამას უსათუოდ ვიზამთ, თუ ნამეტანი ხარჯი იქნება, ამ კანონ-პროექტის დამტკიცებით მოხსენებას წარმოვადგენთ, და ზუგდიდს თუ მივაწერეთ ფულის, რასაკვირველია ისიც მოგვცემს ფულს.

კიდევ არის ერთი მოსაზრება. არის სამი დიდი მდინარე, რიონის წყალი, კოდორი და ენგური, აქ უკვე არის გაკეთებული ხიდები, მაგრამ ეს ხიდები დამთავრებული არარის, მაგრამ უკვე გარკვეული არის ხაზი. და შედარებით ამ რკინის გზასთან, იმის გარდა რომ, გაავძელებს მიმოსვლას, ამ ზუგდიდის გზაზე, უნდა მოისპოს თითქმის გაკეთებული ხიდები, რომლის თითქმის 60—70% არის გათავებული, ან და ეს გზა უნდა მოვიყვანოთ ამ ხიდებამდის. ეს უნდა მომეხსენებინა, იმიტომ რომ პარლამენტს ჭერნდეს წარმოდგენა, თუ რამდენი დაბრკოლება შესაძლებელია წარმოუდგეს სამინისტროს და მთავრობას ამ რკინის გზის გაყვანის დროს. გარდა იმისა, მე უნდა მოგახსენოთ ერთი განცხადება. თუ კი შესაძლებელი იქნება ტეხნიკურად და ფინანსიურად ერთი კვირის განმავლობაში შეიადგენო კომისია, ამ კომისიაში დაგინიშნავთ გარდა სპეციალისტებისა, ადგილობრივ ხალხსაც, რომ ეს იყოს პირუთვნელი, დარწმუნებული ვარ, ისეთი ეზრებს, რომელიც ჭერნდა ძველ მთავრობას ამ გზის შესახებ, ამ კომისიაში ადგილი არ ექნება. ამის გარანტიას მოგვცემთ, რომ სამინისტრო იქნება პირდაპირი ხელმძღვანელი ამ მუშაობისა. ჩვენც ვართ დაინტერესებული, რომ გავიდეს ეს გზა ზუგდიდზე და თუ კი შესაძლებელი იქნება ჩვენ, უპირველია ამას ვიზამთ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ კანონ-პროექტის შესახებ? არავის. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

იოსეფ გობეჩია. მე მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, რაც აქ გამოსთქვა ბ. დადიანმა, საქმე იმაშია, რომ ჩემ მოხსენებაში მე აღვნიშნე ყოველივე ის, რაც იყო ძველად და საზოგადოდ როგორ კეთდებოდა ძველი რეჟიმის დროს გზები. აღვნიშნე თუ როგორ ანაცვლებდნენ კერძო ინტერესებს ხალხის და დემოკრატიის ინტერესებს. ეს აშკარაა და ამიტომ ვსთქვი, რომ შეიძლება ის გზა, რომელიც უნდა გასულიყო ქალაქ გუგდიდზე, 4-ეურს ასცილდება მის ლიანდაგს, მაგრამ, როდესაც მე ვსთქვი, კომისიას მასალები არ ჰქონდა, ეს ეკუშმარიტება არის. ტეხნიკურად პროექტი ამ გზისა უკვე დამტკიცებულია. ჩვენ რა გვინდა? ჩვენ გვინდა, რომ ეს მუშაობა, რომელიც უკვე, როგორც მოგახსენეთ უმთავრესად არის გაკეთებული, ჩვენ გვინდა რომ ეს შეავცვალოთ. ეს არის ჩვენ-ვის ტეხნიკური საქმე, რომელიც უნდა იყოს ადმოცენებული მეცნიერულ გამოკვლევაზე. ჩვენ ეროვნული მეცნიერული საბუთი ხელთ არ გვაქვს რომ ვსთქვათ, —რომ შეუძლებელი საქმეა, რომ ზუგდიდზე გაიაროს ამ რკინის გზამ. ეს საბუთი არ გვაქვს დღეს და არც გვქონია. ჩვენ ვსთქვით, რომ საჭიროა ამისთვის დაარსდეს სპეციალური კომისია, რომელიც ყველა ამ საბუთებს გამოიკვლევს და გვეტყვის, რამდენად შესაძლოა ტრასი შეიცვალოს და ამ გზამ გაიაროს პირდაპირ ზუგდიდზე. კერძოდ მე მქონდა მოლაპარაკება სპეციალისტებთან და ტეხნიკებთან. ეს ტეხნიკები მიმტკიცებდნენ იმას, რომ ხაზი სულ უნდა შეავცვალოთ და ახალი ტრასი გავიყვანოთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთვის რასაკვირველია ბევრი საბუთი მოყვანილი იყო, ზოგიერთი ... იყო მოყვანილი. ამიტომ ჩვენთვის საკითხია, რომ უსათუოდ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოთ. მეორე მხრივ რაც შეეხება დადიანის სურვილებს, რომ ჩვენმა პარლამენტმა დაადასტუროს, რომ ამ გზამ გაიაროს ქალაქ ზუგდიდზეო,—მე პირადად ამის საწინააღმდეგო არა მეძნება რა, და დიდი სიამოვნებით დაუჭერ ამას მხარს.!

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

იოსეფ გობეჩია. (კითხულობს) მუხლი პირველი: დაევალოს გზათა მინისტრს დაუყონებლივ მიიღოს თავის გამგებლობასა და განკარგულებაში შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა, რომელიც ჯერ დამთავრებული არ არის, საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

მუხლი მეორე. რკინის გზის ამ ნაწილის მისაღებად, შესანახად და დასაცავად 1918 წ. 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე მიეცეს გზათა მინისტრს ავანსად ხაზინიდან სამასი ათასი (300,000) მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

მომხსენებელი. მესამე მუხლი (კითხულობს) მიეცდოს გზათა მინისტრს დაუყონებლივ შეუდგეს ამ გზის ნაწილის დამთავრებას ახალსენაკიდან ზუგდიდამდე და ამისათვის გაეხსნას მას კრედიტი სამი მილიონი სამასი ათასი მანეთისა (3,300,000) თანახმად ამ კანონთან დართულ ხარჯთ-აღრიცხვისა.

ერთი უნდა მოგახსენოთ, რომ მესამე მუხლი არის დამყარებული იმ ხარჯთ-აღრიცხვაზე, რომელიც ... ის მუხლობრივ აღნიშნული და თუ ნებას მიბოძებთ, ფეიეიულ განყოფილებას მოგახსენებთ, და მხოლოდ მერე გადავალ მესამე მუხლზე.

თავმჯდომარე. გთხოვთ წაიკითხოთ.

იოსეფ გობეჩია. (კითხულობს) წინასწარი დამფასებელი სია სამუშაოებზე, რომელსაც შავი ზღვის რკინის გზის დამთავრება გამოიწვევს ახალსენაკიდან ზუგდიდამდე დროებითი მიმოსვლის გასამართავად.

1) გზათა სიგძე:

ა) უმთავრესი ლიანდაგი . . . . . 40 ვერსი.

ბ) სადგურის ლიანდაგები . . . . . 8 „

სულ . . . . 48 ვერსი.

განყოფილება ა.

ფასი სამუშაოებისა და დამზადებებისა.

თავი I.

ქონებათა ჩამორთმევა.

შეძენა მიწის, შენობების დანგრევა, დაჯილდოვება დროებით მიწის დაქვეთისათვის, მოსპობა ნახნავებისა და სათიბებისა და სხვა ზარალი, დამზადება და დამყარება საზღვრების ნიშნების და აგრეთვე დაქირავება გამსაზღვრელი ადმინისტრაციისა, დაქირავება მათთვის შენობისა კანტორისათვის და ფოსტა-ტელეგრაფის და კანცელარიის ხარჯებით, შედგენა პლანებისა, მიმოსვლის ადგილობრივ გადასახადების და სხვა ხარჯები 500,000 მ., სულ 1 თავის ხარჯი 500,000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა I თავის შესახებ. მის გამო, რომ შავის ზღვის რკინის გზის მმართველობის მხრივ გამოურკვევლი, რამდენად არის შესრულებული განსაზღვრის მუშაობა და აგრეთვე მის მიხედვით, რომ შესაძლებელია ეს სამუშაო მხოლოდ დაწყობილი იყოს ამ საკირორებისათვის. შეტანილია სიაში 500.000 მანეთი ინ პირობით, რომ ამ ფულიდგან ხარჯები გაიცემა ყოველ შემთხვევაში სამინისტროსთან მყოფ საბჭოს განკარგულებით.

თავმჯდომარე. კომისია თხოულობს 500,000 მ. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ი. გობეჩია. (კითხულობს) თავი II. აშენება მიწის ლიანდაგისა.

ა) მიწის სამუშაო უმთავრესი გზის ასაშენებლად, კუბ. საჟ. 6,500. ერთი კვ. საჟ. ღირს 50 მან.

ბ) დამატებითი სამიწო-სამთო და დასაწრეტ რუების ასაშენებლად, მდინარეების სადენის გასასწორებლად, ბერმის დასაყრებლად, მდინარეებთან ლიანდაგის გასაგნიერებლად, გადასავლების გასაკეთებლად, საგზაო შენობების განსაზღვრავად და სხვა ხარჯებისთვის კუბიკური საჟ. 1500. ერთი კვ. საჟ. ღირს 50 მანეთი.

მიწის სამუშაოები სადგურებისთვის, მოედნების გასაკეთებლად კუბიკური საჟ. 2,500. ერთი კუბ. საჟ. ღირს 50 მან.

შეკეთება და გამაგრება მრუდედ დაყრილ მიწებისა ულწორ-მასწორობისა და რიყებისა ვერსი 40. თითო ვერსი ღირს 1000 მან.

გამაგრება მდინარეების სადენისა, ხიდების კონუსებისა და ტუნებისა ქვაფენილის დაგებით ოთხკ. საჟ. 4,000. თითო ვერსი ღირს 45 მან.

შოშის გზებისა, სადაც რკინის გზაზე გადადის შოში ოთხკუხი საჟენი 250. თითო ვერსი ღირს 60 მან. სულ მე-II თავის ხარჯი 760,000 მ.

შენიშვნა 1 და 2 სტატიის შესახებ. რომ მივიღოთ მხედველობაში ის რომ მუშის საქირავების ფასები ეხლანდელ დროში ათჯერ აღემატება ომის დაწყებამდის მყოფ ფასებს და ამის მიხედვით საშუალო ფასი ერთი კუბიკური საჟენი მიწის სამუშაო მივიღოთ 50 მანეთი ე. ი. ათჯერ მეტი ომამდის მყოფ ფასებისა.

მე 4 სტატიის შესახებ. კონუსების დაგება 48 ხელოვნურ შენობებზედ და სადენის 29 შენობისა საშუალო ფასი 1 კუბ. საჟენ. დასაფენისა ომამდი იყო 4 მან. 50 კაპ. ამისათვის თანახმად მოსაზრემისა, რომელიც ნაჩვენებია 1 და 2 სტატიაში საშუალო ფასი მიღებულია 46 მანეთი 1 ოთხკუთხ საჟენზედ.

მე 5 სტატიის შესახებ. საშუალო ფასი 1 და 2 სტატიის მიხედვით მოსაზრებით, რომ მივიღოთ 60 მანეთი ერთ ოთხკუთხ საჟენზედ, თუ სიგანე შოშისა იქნება 0,10 საჟ.

თავმჯდომარე. ვინ სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მესამე თავი.

ი. გობეჩია. (კითხულობს) თავი III. ხელოვნური შენობები.

ა) ბეტონის დალაგება დასაყრდნობებისთვის საფუძელის აშენებით კუბიკური საჟენი 55. ერთი კვ. საჟ. ღირს 900 მ.

ბ) დროებითი ფურცელი შენობები სიგრძის საჟენი 80. ერთი კვ. საჟენი ღირს 9000 მან.

დროებითი ფურცელი ხიდები შესაკერელი დასაყრდნობებით სიგძის საჟენი 50. ერთი კვ. საჟ. 3,000 მ. სულ მე-III თავის ხარჯი 359,000 მ.

თავმჯდომარე. მესამე თავის ხარჯთ-აღრიცხვას უარი კენჭს? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია! გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ გობეჩია. (კითხულობს) თავი IV. ზვვითი შენობა.

ლომი საბალასტო ზოლზე გზების შუა დაყრით დაწეული ლიანდაგის ასამაღლებლად თუ ვივარაუდებთ 70 კუბიკურ საჟენს ვერსზე, თუ სიგანე ექნება საშუალოდ 0,18 საჟენი, რაც 48 ვერსზე შეადგენს 8160. კუბიკური საჟ. თითო კუბ. საჟ. ღირს 80 მან.

შპალები 1530 თვითეულ ვერსზე; თუ 2% მივიღებთ დანაკარგად სულ 42840 ცალი.

ა) რელსები ფოლადის მესამე კიბის დასამაგრებლებითურთ უმთავრესი სამგზავრო გზებისთვის, ვერსი 21.

ბ) რელსები ფოლადისა მე-4 ტიპის დასამაგრებლებითურთ უმთავრეს სამგზავრო გზისთვის. ვერსი 7.

ა) გაწყობა რელსებისა სკლადებიდან საქონლის მოზიდვით მუშობის ადგილზე, რელსების მიკვრით და გზის გამოცვლით 28 კუბ. საჟ. თითო კუბ. საჟენი ღირს 2500 მან.

ბ. ამაღლება გზისა სათანადო სიმაღლემდის და გამოსწორება დამჯდარ მიწისა ვერსი 48. თითო ვერსი ღირს 1500 მ.

ვ. გზის დაცვა გაფუჭებისაგან ჩაბარებამდის 48 ვერსზე თითო ვერსი ღირს 1250 მ.

გასწორება მოსიარულე შემადგენლობისა. სულ მე IV თავის ხარჯი 910800 მან.

შენიშვნა მე 4 თავის შესახებ. თუ მზედველობაში სიგიღებთ 40 ვერს უმთავრესი გზის და 8 ვერს სასადგურო და ასაქცევ გზებს სულ მთელი გზა 48 ვერსი.

მე II სტატიის შესახებ. აქამდე დალაგებულია 19 ვერსი მთავარი გზის და 1 ვერსი სასადგურო, დაბრეწილია დასალაგებლად 28 ვერსი. მასალები დამზადებულია № ამისთვის ისინი მიღებულია დაუფასებლივ.

მე III სტატიის შესახებ. რელსები გასამაგრებლებითურთ დამზადებულია, ამისთვის არ ვთხოულობ ფულის მიცემას.

მე III ბ. სტატიის შესახებ. რელსები ამ დანაშენეულებისაოვეს არ არის, განხრახულია ამათი მიღება ამიერ კავკასიის უმ-ქმედო სადგურებიდან ამისთვის ესენი მიღებული უფასოდ, შემოტანილია მხოლოდ 10,000 მანეთი თანხა დასატვირთ—გასატვირთ და გადასაზიდ ხარჯების გასაძღოლად სამუშაო ტარიფის მიხედვით.

მე 5 სტატიის შესახებ. არის 4 ორთქმავალი და 63 ვაგონი, თუ ვანაგარიშებთ ორთქმავალის შეკეთებას 5.000 მანეთს და ვაგონებისა 400 მანეთს ღირებულება. მოსიარულე შემადგენლობის გაკეთებისა გამოიხატება ნომინალი: 5.000×4+65. 400=46000 მანეთით.

თავმჯდომარე. კენჭს ვუყრი მეოთხე თავის ხარჯთ აღრიცხვას. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

იოსებ გობეჩია. (კითხულობს) თავი მე-V. გზის კეთილობა.

ა) ვერსების მაჩვენებელი ბოძები, მიკლოტ ნიშნები, მრუდე შემოსაგებელის მაჩვენებლები სამუშაო ნაწილების და უბრეშინსმაჩვენებლები. წყლის გამზომელი და გადაკეთებული ბოძები. ვერსი 40. თითო ვერსი ღირს 300 მან.

ბ) ბარაღები და ბაირაღები გზის შესაკეთებლად. ვერსი 40. თითო ვერსი ღირს 750 მან. სულ მე V თავის ხარჯი 42,000 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. შენდეგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხსენ გიორგია. (კითხულობს) თავი VI· ტელეგრაფი.

1. აშენება მე-2 ტელეფონისა—იზოლიატორებით დამავთულით სახელმწიფო ტელეგრაფებთან შესაერთებლად· 2,0000 მან.

2. დამაყოფილება ტელეგრაფის და სამაახურისა, სანამ ექსპლოატაციას ჩაჰბარდებოდეს სენაკიდან სოხუმამდის 45,000 მან. სულ მე VI თავის ხარჯი 65,000 მან.

შენიშვნა პირველ სტატიის შესახებ. მიმდინარე დრომდის არსებობს ერთი პროვოდი ახალ სენაკიდან სოხუმამდის რომელიც მთავრობის ტელეფონთან არ არის შეერთებული. წესიერ მავლულობის გასახსნელად საჭიროა გიიხნას მე 2 ტელეფონი, სენაკიდან ზუგდიდამდის და ამის გარდა შეერთებულ იქმნას მთავრობის ტელეფონთან. რისთვისაც შემოტანილია 20.000 მან.

მე-2 სტ. შესახებ. ტელეფონის ძოსამსახურეობა დასაკმაყოფილებლად 6 თვის განმავლობაში საჭიროა 41.100 ტელეგრაფის შესანახად საჭიროა თანხით 45000 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია. შემდეგი.

იხსენ გიორგია· (კითხულობს) თავი VII. სახლის ყარაულობა, ყაზარმები და ასაქცევები.

1. საყარაულო შენობები დროებით ბარაკის ტიპისა ოთხკ. საკ. 55. თითო ღირს 800 მან.

2. ისეთივე ყაზარმები და ნახევარი ყაზარმები შემკეთებელ მუშების და საგზაო სამთავთვის ოთხკ. საკენი 85. თითო ოთხკ. საკ. ღირს 800 მან.

3. ასაქცევები რელსების სიმაღლისა ყოველგვარი იარაღითურთ გარდა მიწისა, რომლებიც ჩარიცხულია მეორე თავში. ცალი 30. თითო ღირს 25,000 მან. სულ მე-VII თავის ხარჯი 189,000 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგიę მიღებულია.

იხსენ გიორგია. (კითხულობს) თავი მე-VIII. სასადგურო შენობები.

შენობა გზათათვის და საცხოვრებელი სახლები დროებითი ბარაკების ტიპისა. ოთხკუთხი საკენი 160. თითო ცალი ღირს 800 მან. სულ მე-VIII თავის ხარჯი 28,000 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი! მიღებულია.

იხსენ გიორგია. (კითხულობს) თავი მე 9. წყლის მიწოდება სადგურებს.

აშენება 2 თროებით წყალ მისაწვდენისა მოწყობილობით და ფიცრის ბაკებით 2. სულ მე 9 თავის ხარჯი 50.000 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იხსენ გიორგია. (კითხულობს) თავი მე 10. სადგურების ქონება.

ა. გაწყობა სტრელკებისა ჯვარედინიან ბჯალებში. ცალი 15. თითო ცალი ღირს 500 მ.

ბ. დროებით დამყენებლების აშენება ცალი 14. თითო ცალი ღირს 300 მ.

ვ. აშენება სასტრელკო ბუდეებისა ცალი 2. თითო ცალი ღირს 800 მ.

ბ. სემოფორების დადგმა. ცალი 4. თითო ცალი ღირს 500 მ.

დადგმა ნავთთან ასანთებ ფარნებისა. ცალი 4. თითო ცალი ღირს 1000 მ. სულ მე 10 თავის ხარჯი 16.300 მ.

შენიშვნა I სტატიის შესახებ. რაოდენობას სტრელკების გადაყვანის დამზადებულია ამიტომ ამისთვის ფული არ არის საჭირო.

მე 3 სტატიის შესახებ. სიმაფორების მიღება განზრახულია ყოფილ ამიერკავკასიის უმუშეავრ სტანციებისგან, რის გამო ამათი ღირებულება არ არის შემოტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ მიღებულია.

იოსებ გიბეჩია (კითხულობს). თავი II. საერთო გასავალი.

ადმინისტრაციის და სანიტარულ ნაწილის დაკმაყოფილება, საკანცელარიო ხარჯები, მისელა-მოსვლისა და სხვა 35.000 მან. სულ მე-II თავის ხარჯი 35.000 მან.

შენიშვნა 1 სტატიის შესახებ. კრედიტის დახარჯვა შეიძლება მხოლოდ გზათა სამინისტროსთან მყოფ საპჭოს განკარგულებით.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებული. შემდეგი.

იოსებ გიბეჩია (კითხულობს). თავი 12. მოულოდნელი ხარჯები. მოულოდნელი ფასები დაახლოებითი 1—1½% მე-II თავებით დამფასებელ ვედომოსტისა 29.000 მან. სულ მე-II თავის ხარჯი 29.000 მან. სულ დამფასებელ ს�i ხარჯი 3.300.000 მან.

თავმჯდომარე. საერთოდ ხარჯი 3 მილიონი 300 ათასი გახლავთ, ვინ არის წინააღმდეგი საერთოთ ხარჯთ-აღრიცხვისა? არავინ. მაშასადამე, ეს ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია. საზოგადოთ ხარჯთ-აღრიცხვაში შესასვლ ვის ნებავს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს არსენიძეს.

რ. არსენიძე. ყოველთვის გაჩერება კანონ პროექტასა, რასაკვირველია არ არის კარგი. მაგრამ ამ ხარჯთ-აღრიცხვისა არის ერთი მუხლი, რომლის აღნიშვნა, შე სასურველად და საჭიროდ მიმაჩნია. აი, მაგალითად, მესამე მუხლში სტატიის შესახებ სწერია: რელსები გასამაგრებლებითურთ დამზადებულია, ამისათვის არ ვთხოულობ ფულის მოცემას. მე მგონი უფასოდ შეტანა ერთი რკინის გზის მასალისა, მეორე რკინის გზაზე ყოველად შეუძლებელია. ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა იყოს აღნუსხული ესა თუ ის ფასი, რომელიც უნდა მიეცეს დანარჩენ რკინის გზებს. ყველას თავისი ქონება და ხარჯი აქვს და არაფერს უფასოდ წაიღებ არ შეიძლება. ხარჯთ აღრიცხვაში საჭირო იყო, რომ ასეთი ცნობა შემოტანილი ყოფილიყო, არა თუ უფასოთ მოგვცემს, არამედ შემოტანილიყო მისი დაფასება და შესულიყო ამ გზის ხარჯთ-აღრიცხვაში, თუ რა ღირებულებისა არის ის, რაც დასჭირდება. მე მგონი რომ სამინისტრო მიიღებს მხედველობაში, რომ ყველა უნდა იყოს დაფასებული, და არ შეიძლება დაუფასებლად შემოტანა.

იოსებ გიბეჩია. ჩვენ ვფიქრობთ ბაკონებრო, რომ ის გზა, რომელიც ეხლა უნდა დამთავრდეს, იქნება გაგრძელება იმ ჩვენნ სახელმწიფო რკინის გზების ქსელისა, რომელიც უკვე არის ჩვენს რესპუბლიკაში. ამიტომ, როდესაც ასეთი შენება არის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ახალი რელსების შიმენა და გაკეთება გაგვიინელდება. მეორეს მხრივ ჩვენ ვიცოდით, რომ ზუგდიდის 20 ვერსის მანძილზე უკვე არის დაწყობილი რელსები, დარჩა კიდევ 28 ვერსი დასაწყობი. როდესაც ჩვენ გზათა კომისიაში გვქონდა მსჯელობა, ვიფიქრე რომ ორი თვის განმავლობაში შეიძლება ამ გზის დამთავრება, შეიძლება მისვლა-მოსვლა გაიმართოს სენაკ-ზუგდიდის შუა. სხვა და სხვა გზებზე არის დარჩენილი სხვა და სხვა ლიანდაგები, რომლებზედაც დღეს ეკსპლუატაცია არ ხდება. ჩვენ შეგვიძლიან ამ გზებიდან დღეს ავიღოთ რელსები, რომელიც ამ გზებისთვის გამოუსადეგარია და მოვიხმაროთ. რადგანაც ეს ეხება სახაზინო ფულს, რაკი იქაც სახაზინოა და აქაც სახაზინოა, და ეს გზა რჩება ჩვენ მთავრობის ხელში, ამიტომ ასეთი ბუჰალტერიული აზწერა არ გავაკეთეთ,—რომ ასეთი დეტალური ანგარიში გაუკეთდეს, ეს ფინანსიური მხრივ შეცვლა არ იქნება და მეც არ ვიქნები ამის წინააღმდეგი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? მე უყრი კენჭს, რომ ხარჯთ-აღრიცხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იყოს აღნიშნული ფასი რელსებისა. ვინ არის ამ დამატების შომხრე გთხოვთ ასწოოთ ხელი? მიდებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მესამე მუხლი.

გიბეჩია. (კითხულობს). მუხლი მესამე—მიენოოს გზათა მინისტრს დაუყონებლივ შეუდგეს ამ გზის ნაწილის დამთავრებას ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე და ამისათვის გაეხსნას მას კრედიტი სამი მილიონი 300,000 მანეთისა თანახმად ამ კანონთან დართული ხარჯთ-აღრიცხვისა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

გიბეჩია. მუხლი მეოთხე. (კითხულობს). დაეკალოს გზათა მინისტრს ერთი თვის განმავლობაში მოახდინოს გამოკვლევა ტრასის შეცვლისა, რათა ხსენებულმა რკინის გზამ გაიაროს ქ. ზუგდიდში.

თავმჯდომარე. კენჭის ყრით მიღებულია მესამე მუხლი. საერთოთ კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. შემდეგ კანონ-პროექტის შომხსენებელი გახლავთ ბ. ლომთათიძე.

ალექსანდრე ლომთათიძე. მოქალაქენო, რამდენიმე თვის წინეულ ეროვნულ საბჭომ აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა შემოშვებება საქართველოს დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონ-პროექტისა. [უნდა მოგახსენოთო, მთელი კომისია, და მასთან ერთად მეც, ამ საქმეს, რომ ხელს ვკიდებდით, მაშინდელ მდგომარეობის ძლიერ გავლენის ქვეშ ვიყავით და თუ რანაირი პსიხოლოგიური განცდა იყო მაშინ ჩვენში—ეს პარლამენტს კარგათ მოეხსენება. დამფუძნებელი კრება, საყოველთაო საარჩენო უფლება, პირველნების ხელუხლებლობა და სხვა ესეთი მოთხოვნილებანი, რომელთა მოსაპოებლათ არა ერთი მსხვეპლი შეუწირავს დემოკრატიას, ყველაფერი ეს ჩაწიხლული, ,გათელილი იყო ბალშევიზმისა და ბალშევიკური აღვირწასხსნილობის წყალობით, ჩვენი ქვეყნის კაი ნაწილი ანარქიის ცეცხლში იყო გახეული და ყოველთა ბუნებრივია, თუ ჩვენ ერთგვარი შიში გვქონდა, ვაი თუ ამ რუსეთიდან შემოჭრილმა ანარქიამ წაღეკოს და დაასამაროს რაც ჩვენს დემოკრატიას წვითა და დაგვით მოუპოვებია და შეუნარჩუნებიაო. მაგრამ, მიუხედავთ იმისა, ჩვენ გვწამდა საქართველოს ხალხის მომზადება, პოლიტიკური იღბრდა, და გაწვრთნა, და იმედი გვქონდა, რომ ეს დროებითი მოვლენებული ქარტეხილი აცილებული იქნებოდა თავიდან, და ჩვენი ქვეყანა შედარებით ნორმალურ ცხოვრების კალაპტაში ჩადგებოდა, და ჩვენ მოვესწრებოდით იმ დროს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრება გაიხსნებოდა. ჩვენი იმედები გამართლდა. ანარქია თუ სავსებით არა, უმეტეს ნაწილათ უკვე მოსპობილია და დღეს, საქართველოს პარლამენტი უკვე სდგას დამფუძნებელ კრების მოსაწვევ სამზადისის წინაშე. თქვის თავათ ცხადია, როდესაც კომისია შეუდგა დავალების ასრულებას, მის წინაშე, ასეი საკითხმა წამოყო თავი: როგორ უნდა იმოქმედოს მან, რა მასალები მოეპოვება კომისიას, რომლებით უნდა იხელმძღვანელოს, და შეადგინოს პროექტი საარჩევნო კანონისა.

ამ მხრივ, ერთათ ერთი მასალა, რომელიც მოგვეპოვებოდა ჩვენ, ეს იყო კანონი რუსეთის დროებითი მთავრობისა, რომლის ძალით მოხდა არჩევნები რუსეთის დამფუძნებელ კრებაში. მაგრამ, როდესაც კომისია გაეცნო იმ დებულებას თავის თავათ ცხადია, რომ ბევრი ისეთი რამ აღმოჩნდა, რაც ჩვენ მშობლიურ სინამდვილეში არ მოიპოვება. რუსული დებულება აშენებული გახლავთ შემდეგ პრინციპზე: იქ, როგორც ვიცით, ორი დაწესებულება არსებობდა, და ამ ორ დაწესებულებას დააკისრა რუსეთის დროებითმა მთავრობამ, ტეხნიკური მოწყობა, და ცხოვრებაში გატარება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა. ასეთი დაწესებულება გახლავთ ერობა, და საქალაქო თვითმართველობა. ჩვენში

კი, მაშინ ეხლოთ ლაპარაკი იყო, ერთგვარი აკადემიური მსჯელობა ეროვნ-ბობდა, ერობის შემოღების თუ არ შემოღების დროიანობაზე. ერთათ ერთი დემოკრატიული დაწესებულება, რომელის გამოყენება შეიძლო, ეს იყო საქალაქო თვითმართველობა, და ამ გვარათ კომისიას უნდა გამოენახა ისეთი საშუალება, რომელიც საერობო თვითმმართველობის ორგანოების როლს შესარულებდა დამფუძნებელ კრების მოწვევის ტეხნიკურ საქმეებში. კომისიის გადაწყვეტილება გახლავს ასეთი: ქალაქების მიწა წყალზე ეს საქმე ეკისრებათ ქალაქის თვითმართველობათა, პროვინციებისთვის ეს ტეხნიკური აპარატი უნდა შექმნას მაზრის ფარგლებში სამაზრო ქალაქის გამგეობამ, რომელიც მაზრაში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან მათ შორის ძალთა განწყობილების მიხედვით შეადგენს მაზრის საარჩევნო კომისიას. ასეთი მოსაზრება წარმოადგინა კომისიამ შემდეგ. დღეს მდგომარეობა ისეთია, რომ ქალაქის ყველა თვითმართველობანი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არის ერთი პარტიის ხელში. თითო ოროლა კაცი შეიძლება იყოს სხვა პარტიისა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გაბატონებული არის ერთი პარტია. კომისიის აზრი კი დამფუძნებელ კრების მოწყობისა და მოწვევის საქმეში ტეხნიკურათ ჩაბმული უნდა იქნეს ყველა პარტია და თუ შესაძლებელია, ყველა პოლიტიკური მომქმედი მიმდინარეობის ჯგუფის წარმომადგენელნიც. მაშ ასეთი მოსაზრება კომისიისა, ეს პრინციპი გატარებული უნდა იქმნას ყველა კომისიის აშენების დროს. ეხლა კომისიების შესახებ: კომისიები ნავარაუდევი ოთხი. უმთავრესი კომისია გახლავთ რესპუბლიკის მთავარი, ანუ ცენტრალური საარჩევნო კომისია, შემდეგი საფეხური სამაზრო კომისია, მერმე სოფლის საზოგადოებისა და უკანასკნელი საფეხური,—ეს გახლავთ სოფლის მცირე საარჩევნო კომისია. ამ ოთხ კომისიის სტრუქტურაში დაცული გახლავთ ის მთავარი პრინციპი, რომელზედაც მე ზემოთ მოგახსენეთ. შემდეგი საკითხი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანათ მიაჩნია კომისიას, აი როგორი გახლავთ: ვის უნდა დაიკისროს მთავარი ხელმძღვანელობა საარჩევნო საქმისა. თუ ვიხელმძღვანელებთ ჩვენ სხვა ქვეყნების მაგალითით, ეს უნდა დაეკისროს მთავრობას, ე. ი. საარჩევნო კანონს მიიღებს პარლამენტი, გადაეცემა სათანადო უწყებას, და ის უწყება ამაშუაგეებს სათანადო აპარატს, კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ. ეს გახლავთ ჩვეულებრივი გზა. მაგრამ, კომისიას დაებადა ასეთი აზრი. მთავრობა დღეს, დატვირთული არის აუარებელი საქმით, პარლამენტი კი თუ შესაძლებლათ დაინახავს, ამ საქმის გაძღოლას, ის ამას უფრო ადვილად შესარულებს: გამოყოფს სათანადო კომისიას და მას ჩაბარებს. რასაკვირველია, ამ პირობით, რომ მთავრობა მთელ თავის მზა-მზარეულ აპარატს საარჩევნო საქმისათვის ამ კომისიას გადასცემს. ასეთია ჩვენი აზრი. ამ კომისიას დაერქმეგა რესპუბლიკის ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია. შემდეგ აღიძრა საკითხი შესახებ ადმინისტრაციაში და ჯარში მოსამსახურეების საარჩევნო უფლებისა. შესახებ ჯარისა დიდი ხმის უმრავლესობით, კომისიამ გადაწყვიტა: ჯარს, ანუ ოკეთ რომ ვთქვათ, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფთ, აქტიური საარჩევნო უფლება არ მიეცესთ. მათ მიეკუთვნა მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება. მთავარი მოსაზრება, ბატონებო, რომელიც საფუძვლათ დადგა ასეთ გადაწყვეტილებას, შემდეგია: ის მდგომარეობა, რომელსაც განიცდის დღეს ჩვენი სახელმწიფო, საერთოდ და კერძოდ ჯარის მოწყობის საქმეში გვაჩვენებს, რომ სხვანაირათ ვერ მოვიქცევით. რაც უმდე მტკიცე საფუძველზე იყოს ჯარი მოწყობილი, რაც უნდა მტიცე იყოს მისი დისციპლინა თუ იგი პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაერია,— თავის თავად ცხადია,— და ეს ჩვენ ცხრე გაცდენილნმ დაგვახახეა—ზეშენილი ატმოსფერა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატანილი იქნება ყაზარმაში და თუ რა შედეგები მოჰყვება ამას, ეს აშკარა. ორში ერთი: ან, აუცილებლათ საჭიროა, რომ, ჯარი, მტკიცე საფუძველზე აგებული, მტკიცე დისციპლინით გამსჭვალული, მუდმივ დარაჯათ ედგას ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, და მაშასადამე, თავიდან უნდა ავიცილოთ ყველაფერი, რაც ამას ხელს შეუშლის, ან მეორე—ჩვენ ასეთი შეიარაღებული ძალა არ გვსურს, მაშასადამე, მაშინ საკითხი უბრალოთ გადაიჭრება. კომისია პირველ აზრს იზიარებს და ამ მოსაზრების გამო, ჩვენ იძულებულნი ვართ ჯარს აქტიური საარჩევნო უფლება ჩამოვართვათ. ერთი ფორმალური მოსაზრება კიდევ. ჩვენი ძირითადი კანონების ერთი მუხლი, მგონი მეოთხმეტე, ამბობს: „რესპუბლიკის ჯარი პოლიტიკის გარეშე სდგას“-ო. ასეთია, მაშასადამე გადაწყვეტილება ჯარის საარჩევნო უფლების შესახებ. რაც შეეხება ადმინისტრაციას (უფრო ფართოთ რომ ავიღოთ, იქ იმავე მუხლში მეხუთე პუნქტი გახლავთ, ამ პუნქტის ძალით), მოსამსახურეებს ჩამოერთმევათ საარჩევნო უფლება. მთავარი მოსაზრება კომისიისა ასეთი გახლავთ, რომ თავის თავათ ცხადია, არჩევნების დროს, ის მთავარი ორგანო, იქნება ეს მთავრობა, თუ იქნება საპარლამენტო კომისია, არჩევნების დროს უნდა დაეყრდნოს მზა-მზარეულ ძალას, რომელიც კანონიერების დაცვისთვის უნდა გამოიყენოს მან, და რომელიც არ შეიძლება ჩაერიოს ამა თუ იმ მხარის დამცველად ან პოლიტიკურ რწმენის აგიტატორად ან პროპაგანდისტათ გამოვიდეს. (ეს გახლავთ მთავარი მოსაზრება კომისიის უპირველესობისა. და ამ მოსაზრებით ადმინისტრაციის მოსამსახურეებს ჩამოერთმევათ საარჩევნო უფლებები). მართალია პროექტში ნათქვამია ადმინისტრაციის მოსამსახურეებიო, ადმინისტრაციის მოსამსახურეები არიან, მაგალითად, ბაკრიკები, მწერლები, და სხ. კომისიის აზრით საარჩევნო უფლება არ ეკუთვნოთ იმათ, ვისაც დაეკისრება აქტიური გამოსვლა წესიერების და კანონიერების დაცვის დროს. ესეც ადმინისტრაციის შესახებ. ყურადღება ჰქონდა მიქცეული კიდევ შემდეგ საკითხს: პროექტის ძალით, საარჩევნო უფლება ეძლევა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც 19 წლისა შეუსრულდება. როგორც იცით რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს 20 წლის მოქალაქეს ჰქონდა უფლება მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. სხვა სახელმწიფოებშიაც ყოველ შემთხვევაში, არა აქვს უფლება მიიღონ მონაწილეობა, მაგრამ ერთი მთავარი მოსაზრება იყო ერთხმათ მიღებული კომისიის უმრავლესობისაგან. ეს გახლავთ შემდეგი. ჩვენში რაკი უმთავრესად, ბუნებრივი პირობები ცხოვრებისა ისეთი არის, და სკოლა, რომელიც გაიარა ხალხმა, მეტადრე ამ ორი სამი წლის განმავლობაში ისეთი დიდი ნაყოფი მოიტანა, რომ პოლიტიკურად 19 წლის ვაჟკაცი და ქალაშვილი, უკვე საკმარისად მომზადებული არის, იმდენად მომზადებული, რომ სრულებით შეგნებით მისცეს ხმა ამა თუ იმ პარტიას.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ კომისიაში ამ დებულების შემუშავებას შეუდგნენ ჯერკიდევ ივნისის გასულს. მაშინ კომისიას იმედი ჰქონდა რომ დაახლოვებით მარიამობის თვის გასულს ის შესძლებოდა, რომ მოეწყო უკვე არჩევნები, და დაუყონებლივ დაეყოლებინა სათანადო მუშაობას. მაგრამ, ფიქრს უკვე 24 ოქტომბერია, და როგორც ხედავთ, მხოლოდ პირველად ისმის ეს საკითხი პარლამენტის წინაშე.

რამდენი ხნის განმავლობაში უნდა მოეწყოს ცენტრალური კომისიის მუშაობა, და საარჩევნო კომისია ეს სადავო არ იყო კომისიისთვის. რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოხდეს ეს არჩევნები. საბუთის მოყანა მეტი არის, არა მგონია, რომ ამ საკითხის გარშემო სხვა და სხვა აზრი იყოს. ყოველ შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ფრაქციის წარმომადგენელმა. თავისი აზრი განაცხადა, ასე რომ შეიქმნა პარლამენტის აზრი გამოიხატა. მაგრამ რაკი დაგვიანებულია ამ პროექტის მიღება, ეხლა წინ გვეღობება ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ბუნებრივი პირობები. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ერთი კვირის შემდეგ, აპარატი უკვე მოვამზადეთ მოვრჩით აღწერა ასე, რომ შედეგება გვედლება არჩევნებს შეუდგეთ. დაახლოვებით დეკემბრის გასულს. მაგრამ, რასაკვირველია, ეს კამისიის შეუფერებლად მიაჩნია, და აი რატომ: ბარში რასაკვირველია, ეს შესაძლებელია, და მით უმეტეს, რომ შედარებით ცხოვრების ნორმალური პირობები შეიქმნა ანარქიულ გამოსვლებს ადგილი აღარა აქვთ, სოფლად ნაკოფიერი მუშაობა გაჩაღდა, და საჭიროა რაც შეიძლება, მალე შევქმნათ დამფუძნებელი კრება, მაგრამ რა ფუოთ ჩვენ მთებს, სვანებს, ფშავ-ხევსურეთს, მთიან ადგილებს? თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეხლა უკვე დაგვიანებულია, რომ აღწერისთვის იქ ხალხი გავგზავნოთ. ამის შესახებ კამისიის აზრი ისეთია—რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს არჩევნები, მაგრამ შეუძლებელია პარლამენტმა სთქვას, რომ ამ დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, კამისიის აზრი ისეთი არის, რომ პარლამენტი მოაქცევს ამ საკითხს „ეროვნულ“ ყურადღებას და თავის ავტორიტეტულ აზრს გამოხატავს.

თქვენ, ხარჯთ-აღრიცხვაში შეამჩნევთ, რომ აქ ზაქათალის ოლქი გამოყოფილია. ცალკე ხარჯთ-აღრიცხვის განმარტებით ბარათი, რომელიც აქვს ამ ხარჯთ-აღრიცხვას, თქვენ გეტყოდათ, თუ როგორ უცქერის კამისია ამ საკითხს. ზაქათალის ოლქი, რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაში არის. ის კიდეც არის, და თითქოს არც არის საქართველოს ტერიტორიის შემადგენელი ელემენტი. მაგრამ კამისიის, აზრი ისეთი იყო, რომ ზაქათალის ოლქი, ფორმალურად, რასაკვირველია საქართველოს ეკუთვნის და რაკი ასეთია ფაქტიური მდგომარეობა კომისია ანგარიშს არ უწევს, არ აქცევს ამას ყურადღებას, ემყარება იგი მხოლოდ ფორმალურ მდგომარეობას და ამისთვის, ზაქათალის ოლქი შემოტანილი არის ხარჯთ-აღრიცხვაში.

ამ ბოლო დროს, ბათუმის ხელშეკრულებით, რომელიც დადეს ოსმალეთთან შესახებ ახალციხის და ახალქალაქის მაზრისა, რომელიც თითქმის განუყოფელი, განუყრელი ნაწილია ტფილისის გუბერნიისა, ამ ხელშეკრულობის ძალით, მეორე მუხლის ძალით, ეს მაზრები უნდა ოსმალების ხელში გადასულიყვნენ. მაგრამ ჩვენ ვიცით ის, რომ ამ შეთანხმებას ერთი თვის ვადა ჰქონდა, ეს ერთი თვე უკვე გავიდა და რატიფიკაცია არ მომხდარა. მაშასადამე, ფორმალურად, თუ არ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რაც მათ შემდეგ მოხდა, ფორმალურად, ეს ორი მაზრა ისევ ტფილისის გუბერნიაშია. ბოლო ამბებიდან ვიცვთ, რომ ორ ამ ჩვენ მაზრას ოსმალეთის ჯარი სცლის, და საქართველოს მთავრობას უკვე სათანადო ნაბიჯები აქვს გადადგმული, და საჭირო ჯარი არის გაგზავნილი, რომ მან დაიჭიროს ეს ადგილები. აი ეს ჩვენ გვიკარნახებდა, რომ ეს ორი მაზრა შეგვეტანა ჩვენ საარჩევნო ქსელში საქართველოს დამფუძნებელ კრების საერთო ოლქში. მაგრამ ეს დებულებაში არ გახლავს აქ, ეს უკანასკნელი კვირის გადაწყვეტილებაში მოხდა და იმიტომ მოგახსენეთ, რომ მიაქციოთ ყურადღება.

რაც შეეხება ხარჯ-აღრიცხვას ამ ორი მაზრისას, ეს ცალკე არ გახლავთ წარმოდგენილი, დაახლოვებით იქნება იმდენი, რამდენიც, მაგალითად დასჭირდება ერთ რომელიმე უდიდეს მაზრას, ან თელავისას, ან დუშეთისას დაახლოვებით ასეთი ხარჯთ-აღრიცხვა შეიძლება.

ეჭვე წამოყო თავი ერთმა საკითხმა: პროექტის თანახმად, დამფუძნებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების წევრების რიცხვი ნაგარაუდევია 120, მაგრამ რაკი ეს ორი მაზრა არის შეტანილი, კომისიამ დასვა საკითხი: დარჩეს ისევე 120, თუ მოემატოს? კომისიამ გადასწყვიტა დაახლოვებით, რომ გამოვიანგარიშოთ ორი მაზრის შემოსულნი ემატება რვა დეპუტატი. მაგრამ თუ მივიღეთ ჩვენ მხედველობაში, ამ მთავარ დებულებას, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, რომ 120 წევრი იყოს და არა ნაკლები, თუმცა კომისიის ზოგიერთი წევრები, უმთავრესად ფინანსიური მოსაზრებით, ამბობდნენ, რომ მძიმე ტვირთად დაიწვება ხაზინასო, მაგრამ კომისიის უმრავლესობამ ისეთი აზრი გამოსთქვა, რომ დამფუძნებელი კრების წევრების რიცხვის რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა მოიპოს ერთი არა ნორმალური მდგომარეობა, რომელიც არის დღეს და რომელიც იყო წინად; ერთი და იმავე დეპუტატს უხდებოდა ოთხზეთ კომისიის წევრად ყოფნა, და ამიტომ ფერხდებოდა კომისიების მუშაობა. ეს უმთავრესი მოსაზრება ლაპარაკობდა იმაზე, რომ წევრთა რიცხვი გაგვედიდებინა 130-მდე. თუ მივიღეთ მხედველობაში ჩვენში არსებულ პირობებს, როგორც ადგილობრივ თვითმართველობაში არის,—აი მაგალითად, სატახტო ქალაქში საქართველოში, ტფილისის საბჭოს ჰყავს 120 დეპუტატი, თავის თავად ცხადია, რაკი მოუმატეთ ორი დიდი მაზრა, რომ არ შერყეულიყო პრინციპი დამფუძნებელი კრებისა, ამისთვის გავადიდეთ წევრთა რიცხვი, 120 მაგივრად, მომავალ დამფუძნებელ კრებას ეყოლება 130-თი დეპუტატი.

რუსეთის კანონის ძალით, სავალდებულო იყო, რომ თვითეულ ამრჩეველს, ქალაქში იქნება ეს თუ სოფელში, უსათუოდ მიეცეს, ეგრეთ წოდებული, პირადობის ბარათი, საბუთი, მისი ვინაობის დამამტკიცებელი. კომისიამ ეს კანონი სავალდებულოთ დასტოცა ქალაქებისთვის, სწორედ ისეთ ქალაქებისთვის, სადაც ორი ათასზე მეტი მცხოვრებია. რაც შეეხება პროვინციას და დანარჩენ წვრილშან ქალაქებს და დაბებს, ეს, კომისიის აზრით ზედმეტი გახლავთ იმიტომ, რომ კომისია, რომლის მოქმედება უნდა ვრცელდებოდეს ისეთ მანძილზე, რომლის რადიუსი, რომლის სივრცე ორ სამ ვერსტის მეტი არ არის,—თავის თავად ცხადია, ადგილობრივ ელემენტებისაგან შემდგარი, კომისიას პირადად, ეცნობება ყველა ამომრჩეველი და ასეთი ფორმალური დამტკიცებული საბუთი სულ ზედმეტი არის.

აქ, როგორც კომისიის წევრებს, ისე ფრაქციებს დაურიგდათ ნიმუში იმ აღწერილობის ფურცლისა, რომელიც, კომისიის აზრით საჭირო არის. ამ აღწერილობის ფურცელში უმთავრესი მნიშვნელობა მხოლოდ ერთ გრაფას აქვს, და ამაზე მე მსურს შეეჩერო თქვენი ყურადღება. აქ მე-7-ე პუნქტში არის ნათქვამი: სად არის მიწერილი 1914 წ. ივლისის 19-ე ძველი სტილით.

აი ეს მე-7 გრაფიც საყურადღებო იყო კომისიისთვის, და, მე მგონია, რომ ეს საკითხი სადავო არ არის. თქვენ გამოიცდილებით იცით, რომ მოძალადეობის ადგილნი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ მოქალაქეთ ჩაითვლებიან ის, ვინც რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულთან არის მიწერილი, მთელი რიგი გაუგებრობა გამოიწვია ცხოვრებაში გატარების დროს და დაგვანახა, რომ საჭირო არის განმარტება ამ კანონისა, იმისთვის რომ, ამ კანონის გატარებამ ცხოვრებაში რაიმე გაუგებრობა არ გამოიწვიოს. თავის თავად ცხადია, რომ, როცა ამ წერილებს აგზავნით სოფლად, უპირველეს ყოვლისა ისეთ სოფლებში და ჩვენ ქვეყანაში ისეთი მხარეები ბევრი არის, სადაც ეთნიურად აღრეული მცხოვრებებია იქ,—თავის თავად ცხადია, მათ წინ გადაელობებიან დაბრკოლება. ამ წერილებმა უნდა გამოიკვლიონ ესა თუ ის მოქალაქე არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, თუ არა. აი მაშინ როგორ უნდა მოიქცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ აქ დებულების მეორე თავში, მესამე მუხლში აშკარად არის ნათქვამი, თუ ვისა აქვს საარჩევნო უფლება. აქ არის ნათქვამი, რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, ვინც უნდა იყოს, მიუხედავად ეროვნებისა და საღმწოდებისა, თუ კი ცხრამეტი წლისა არის, მას უფლება ეძლევა, აქტიური და მასიური საარჩევნო უფლებისა.

მაშასადამე, სად არის მიწერილი, ასეთი რედაქცია გააკეთა კომისიამ— თუმცა კომისია გრძნობდა თითონ, რომ ეს რედაქცია მას არ აკმაყოფილებდა, მაგრამ, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მოვიწვიოთ ისეთი ამწერლები, უსათუოდ უნდა დავეყრდნოთ საშუალო სასწავლებლების მოწაფეებს, სტუდენტებს, თავის თავად ცხადია, რომ ყველა ესენი შეგნებულად მოეკიდებიან საკითხს და არავითარ გაუგებრობას არ ექნება ალაგი. იურიდიულმა კომისიამ მიაქცია ყურადღება ამ საკითხს და შეეტანა ასეთი შესწორება. მეოთხე თავის ოცდამეთერთმეტე მუხლში, სადაო სწორედ ამაზეა ლაპარაკი, აქ უფრო გარკვევით სახავს ამ საკითხს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება პარლამენტმა მსჯელობა იქონიოს ამის შესახებ და უფრო გარკვეული აშკარა და ყველასთვის თვალსაჩინო ფორმული გამონახოს, ისეთი რომ აღწერის დროს არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობოთ წინ საარჩევნო კომისიის მიერ გაგზავნილ პირებს.

ასეთია საერთოდ ის მოსაზრებები, რომელზედაც, თქვენ მიერ არჩეულ კომისიას საჭიროდ მიაჩნია მიაქციოს ყურადღება პარლამენტისა.

მხოლოდ ორიოდე სიტყვა უნდა დაუმატო კიდევ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ იურიდიულმა კომისიამ მიიღო ყველა ის შესწორებები, რომელიც ჩვენმა კომისიამ გაიზიარა და მიიღო ყველანი, მხოლოდ ერთი შესწორება იურიდიულ კომისიისა უარყოფილ იქმნა საარჩევნო კომისიის მიერ. ეს შესწორება, თუ არ ვცდები ეხება ადმინისტრაციის მოსამსახურეების მონაწილეობას არჩევნებში. დანარჩენი შესწორებები მიღებული გახლავთ.

რაც შეეხება ხარჯთ-აღრიცხვას, საფინანსო კომისიას ამ ხარჯთ-აღრიცხვაში არავითარი შესწორებები არ შეუტანია მიიღო ეს და თავისით კიდევ დაუმატა თანხა. აქ, საერთო თანხა, რომელიც საჭიროდ მიაჩნია საარჩევნო კომისიას, არჩევნების მოსაწყობად და ცხოვრებაში გასატარებლად გახდა $3^1/_2$ მილიონი 400 ათასი მანეთი. საფინანსო კომისიას ეს თანხა გაუდიდებია და აუტანია 4 მილიონამდის. რამდენადაც მე ვიცი, საფინანსო კომისიას ჰქონდა მთავარი ის მოსაზრება, რომ ის ციფრები, რომელიც მოყვანილი არის აქ, ის განმარტებითი ფასები, რომელიც აქ ნავარაუდევია, ეს ფასები მოყვანილი არის მაშინდელი, ივნისის ფასების მიხედვით. მაგალითად, კონკრეტიული ფაქტი: ოზმა ქალაღდისა ნავარაუდები არის ოთხი თუმანი, მაშინ, როდესაც, დღეს უბრალო ქალაღდი, თუ იშოვეთ ღირს შვიდთუმან ნაგეგარი. მაგალითად აქ ნავარაუდევი გახლავთ საქმის მწარმოებელის ანგარიში მისი ჯამაგირი ნავარაუდევი გახლავთ 750 მან. თავისთავად ცხადია, რომ ის ფასები, რომელიც ივნისში იყო, დღეს უკვე მცირე გასამჯელოა. მართალია ეს შეიძლება დაუბრუნდეს კომისიას შეიცვალოს, ფიქსაცია ივიდე რჩება, მაგრამ მომატება, თითქმის ნახევარ მილიონისა იმითია დასაბუთებული, რომ შეიძლება გაცილებით მეტი ხარჯი მოუვიდეს ამ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას, იმაზე მეტი, რაც არის ნაანგარიშევი. უნდა გავიმეორო, რომ ეს თანხა გადიდებულია, რაკი ორი მაზრა მომატებული ახალციხისა და ახალქალაქისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ის საერთო მოსაზრებანი, რომლის გაცნობა პარლამენტისთვის საჭირო დაეინახა საარჩევნო კომისიამ, და რომელიც მე, შეძლების დაგვარად შეგასრულე მაშასადამე მთავრობამ დაეკისრა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შემდეგი: ჯარის მონაწილეობის და ადმინისტრაციის მონაწილეობის შესახებ, ასწიოს რაოდენობის რიცხვი წევრებისა, და სხვა ასეთი საკითხები, რომელიც აქ მოგახსენეთ. კომისიის აზრით საჭირო არის, რომ პარლამენტმა თავის ავტორიტეტიული აზრი გამოსთქვას ამ საკითხების შესახებ.

თავმჯდომარე. წინადადება არის შემოტანი კრება გადიდოს. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე კრებას ვხურავ.

კრება დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე და 55 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა